საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„განათლება“

„განათლება“, ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური და ლიტერატურული ჟურნალი. გამოდიოდა თბილისში 1908–18 (გამოცემა გრძელდებოდა 1918–20 წლებშიც). აშუქებდა პედ. ზოგადი საფუძვლების, დიდაქტ., აღზრდის თეორიისა და სკოლათმცოდნეობის პრობლემებს, აქვეყნებდა წერილებს სხვადასხვა საზ., *პოლიტ.*, ფილოს., მეცნ. და ტექ. საკითხებზე;

ბეჭდავდა აგრეთვე მხატვრულ ლიტ-რას, *ლიტ.*-კრიტ. წერილებს, მოგონებებს, კორესპონდენციებს, ბიბლიოგრაფიასა და ქრონიკას. 1911-იდან „გ-ის“ ყოველი წლის უკანასკნელ მე-10 ნომერს ერთვოდა წლიური საძიებელი, ხოლო 1913–17 – სპეც. დამატება „ცნობები ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა“ პაგინაციითა და ნუმერაციითურთ. გამომცემელი – ლ. ბოცვაძე. თანამშრომლობდნენ ცნობილი საზ. მოღვაწეები, პედაგოგები, მწერლები. ი. ჭკუასელი.